სახალხო გაზეთი

№ 194 სამშაბათი, 28 დეკემბერი, 1910 წ. წელიწადი პირველი. № 194

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიდებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. ხამგლოვიარე განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ—ების განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, ჩიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მოხსენია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

წელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთის“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3—მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

წელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპოდენციები სულ არ ინახება, ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნამუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Большая Ванская ул., N 12, Семену Пашалишвили.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.
დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

ხელის მოწერა საყურადღებოდ **გაზეთის კანტორა ღია ყოველ დღე** დილას 9—3 საათ. საღამოს 5—7 საათამდე

მიიღება ხელის მოწერა 1911 წლისთვის

წელიწადი მეორე **სახალხო გაზეთი** წელიწადი მეორე

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო

მომავალ 1911 წელს „გაზეთი გამოვა იმავ პროგრამით, როგორც წარსულს წელს გამოდიოდა.

ყოველ-დღიურ გაზეთის გარდა გაზეთს ეძლევა ყოველ

სურათებიანი დამატება

დამატება გამოვა კვირაობით.

გაზეთის ფასი დამატებიანად: წლით, როგორც ქალაქში, ისე ქალაქ გარეთ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—4 მან. 80 კაპ., ერთი თვით—80 კაპ.

გაზეთის ფასი ტფილისში და მის გარეთ აღნიშნულია პირველ სტრიქონზე და საზღვარ გარეთისა—მეორე სტრიქონზე:

წლ.	11 თვ.	10 თვ.	9 თვ.	8 თვ.	7 თვ.	6 თვ.	5 თვ.	4 თვ.	3 თვ.	2 თვ.	1 თვ.
8. 50.	8. —	7. 50.	6. 90.	6. 20.	5. 50	4. 80.	4. —	3. 20.	2. 40.	1. 60.	— 80.
12. 8.	11. —	10. —	9. —	8. —	7. —	6. —	5. —	4. 50.	3. 50.	2. 50.	1. 25.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი.

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

ხელის მოწერა მიიღება „სახალხო გაზეთის“ კანტორაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ი. ავალიშვილთან.

წლიურ ხელის მომწერს გაზეთის ფასი შეუძლიან გადაიხადოს ნაწილ-ნაწილადაც: ხელის მოწერის დროს 3 მან., 1 მარტისთვის 2 მან. 1 მაისისთვის 2 მან. და 1 ივლისისთვის 1 მან. 50

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან და არა ნაკლებ ერთი თვისა.

„სახალხო გაზეთის“ კანტორაში ხელის მოწერა მიიღება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 9 საათიდან 3 საათამდე და ნამუადღევის 5 საათიდან 7 საათამ. თვის ბოლოს კანტორა კვირა-უქმე დღეებშიაც იქნება ღია.

ქალაქ გარეთ ხელის მომწერთ ფული უნდა გამოგზავნონ ამ ადრესით:

Тифлисъ, редакція „Сахалхо газети“.

დამდეგ 1911 წლის განმავლობაში „სახალხო გაზეთის“ დამოუკიდებლივ განხრახულია გამოიცეს რამდენიმე კრებული სამეცნიერო, ფილოსოფიური და სამხატვრო შინაარსისა. თითო წიგნი იქნება 300—500 გვერდამდე. გამომცემლებთან შეთანხმებით „სახალხო გაზეთის“ წლიურ ხელის მომწერლებს თითო წიგნი დაეთმობათ 50 კაპ., სხვებისთვის კი ეღირება არა ნაკლებ თითო მანეთისა.

ოთმარა ნიკოლოზის ასული ბრანილოვსკაია შვილებითურთ, თ-დი ნიკოლოზ ბიძინას ძე და ეკატერინე ზაქარიას ასული ერანოვანი უგულითადეს მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მოულოდნელად გარდაცვალებას ბალახანაში პირველნი—ქმრისა და მამისა, ხოლო მეორენი უსაყვარლესის სიძის ინჟენერის

პეტრე ვლადიმერის ძე ბრაილოვსკისა.

ცხედარს მოასვენებენ ტფილისის სადგურიდან დღეს დილის 11 საათზე ქაშვეთის წმ. გიორგის ტაძარში და დაკრძალავენ ხვალ, ოთხშაბათს, 29 დეკემბერს წირვის შემდეგ იოანე ღვთის-მეტყველის ხაყდრის გალავანში (ყორღანოვის ქუჩა). (2—315—2)

გაზეთების მგზავნელი ბიურო

აცხადებს, რომ მას **სამტრედიასა, ჭიათურასა** და **განჯაში აგენტები ესაჭიროება.** ესურველთ მიმართონ შემდეგის ადრესით:

Тифлисъ, Эриванская площ. домъ Харазова, Г-ну Горделадзе. 3—3

ბენეფისი იუზა ზარდალიშვილისა

ტელეფონი № 862. **ქართული თეატრი** წარმოდგენა № 42.

ორშაბათს, 30 დეკემბერს, 1910 წ.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ ვლ. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით წარმოდგენილ იქნება პირველად ახალი პიესა:

მემკვიდრე კრინცი

დრამ. 5 მოქმ. მეიერ-ფერსტერისა, თარგ. გ. აბაკელესი.

კრინცის როლს შეასრულებს მობენეფისი

ეკატ. ბეიდ.: ქ-ნნი: მოთამე, ჩერქეზიშვილი, ჯავახიშვილი; ბ-ნნი ალექსი-მესხიშვილი, არადელი, გუნია, გვარამე, ყივიმე, ზარდალიშვილი, მატარაძე, მგალობლიშვილი, მამფორია, ციციშვილი, შალიკაშვილი.

დასაწყისი ხალამის 8 საათზე.

ადმინისტრატორი ქორთ. დრამატ. საზოგადოებისა.

3—1 რეჟის. **ვ. შადიკაშვილი.**

ოთხშაბათს, 29 დეკემბერს,

„ანათლების“

საზოგადოება ჰმართავს „ტფილისის საკრებულოში“ ჩვეულებრივ

ისტორიულ საღამოს

(შესაფერის ტანისამოსით),

ცოცხალი სურათები: ისტორიულ პირთა გალერეია, ზახ-აბაზის მიერ კახეთის დეოდოფლის ქეთევანის მიღება, დარბაზში გაიმართება: BIER hALLE, ბაიართა დარბაზი და საერთა-შორისო გლეხთა ბაზრობა. მხატვრულს მხარეს განაგებენ ე. დ. ბარათაშვილი და იაკ. ნიკოლაძე. ისტორიული ცეკვა: მენუეტი, ტარანტელლა და სხვ. საუკეთესო კოსტიუმებს საგანგებო დამფასებელნი პირველ და მეორე ხარისხის ჯილდოს მიუსჯიან.

ფრაკები და კოსტიუმები სავალდებულო არ არის. ბილეთების ფასი 2 მ. 10 კ. ბილეთები ისყიდება საღამოს დიასახლისთან (კობის ქუჩა, № 11, საკუთ. სახლი) და საკრებულოს მეკარესთან.

საღამოს დიასახლისი **ნინო ნიკოლოზის ასული გაბაშვილი.**

დასაწყისი საღამოს 9 საათზე. (3—310—3)

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსარეკლად ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

ვ. გაბაყმაძე—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

შ. ა. მიქელაძე—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 1—2 ს.

ა. ნ. დასხამიძე—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. ფ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

ა. ბოთოკი—ყელ., ყურ., ცხვირ. და ყოველ დღე 12—1 ს.

ტერ-ნიკოლოზოვი დ. გ.—შინაგ. და ბავშვ. ოთხშაბათობით და კვირობ. 11½—12½ საათ.

ე. ბ. ფეოდოროვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

მიკროსკოპიული, ბაქტეროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (წო.—ნ.—521)

ტფილისის კერძო სამკურნალო

გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება

მოწყობილია 50 საწოლით.

განსაკუთრებითი საშშობიარო განყოფილება.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლები № 7, „ვეტ-ელის“ სასტუმროსთან. ტელეფონი № 500.

სტაციონარულ ავადმყოფთა მიღება ყოველთვის მეიძლება დღეც და ღამეც. საამბულატორო ავადმყოფებს მიიღებენ სპეციალისტი ექიმები:

ლამბაშიძე ვ. დ.: შინ. და ბავშ. ყოვ. დღე; გარდა კვირისა 11—12 საათ.

გედევანიშვილი მ. ა. ნერ. და ელექ., ორშ., და პარ. 10½—11 ს.

გურკა გ. ა. შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 საათ.

კარშინი ა. ა. კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.

მაღალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშაბათობით და ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვი ვ. ფ. შინ., ორშ., ოთხშ., და პარასკ. 1—2 ს.

მუხელიშვილი ვ. ს.—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½ ს.

მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დაკაც. ყოველ დღე 12—1 ს.

ფირადოვი რ. ბ. ქირურ. ყოველ დღე 12—1 ს.

პაპოვი ვ. ა. ყურ., ყელის და ცხვირის ყოველ დღე 2—2½ ს.

ხობოლევსკი ვ. ვ. ქირურ., ყოველ დღე, 9—11 ს.

საკუთარი ქიმიური მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიური და ბაქტეროლოგიური ლაბორატორია, რომელსაც ... ექიმი ... ფიდოროვი.

რჩევა ღირს 50 კაპ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წმ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შედავათ. საფასურით. (200—ნ.—358)

ბანცხადება

ქართველ სტუდენტთა საყურადღებოთ

პეტერბ. ქართ. სამეცნიერო წრე სთხოვს ქართველ სტუდენტობას შემდეგ ცნობებს: 1. ყოველ ქალაქიდან, სადაც უმაღლესი სასწავლებელი არსებობს გვაცნობონ **ადრესი რომელიმე სტუდენტისა,** ან **სათვალთვალოსი, სამეც. წრეების გამგეობის წევრისა.** 2. დაახლოვებით გვაცნობონ აგრეთვე რამდენი ქართველი ცხოვრობს იმ ქალაქში. ამ ცნობათა მიხედვით გაეგზავნებათ მათ საანკეტო ფურცლები, რომელიც დაეყოვნებლივ უნდა დაუბრუნდეს წრეს, რაც შეიძლება მალე, შემდეგი ადრესით:

Петербургъ. Коллегія Имп. Александра II, при Университетѣ. I. Кипшидзе. წერილები უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით: **სამეც. წრის ვამგეობა.** (3—1)

სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარგდან მოზიარულე ავადმყოფთათვის. ანქის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრესს ბაღის მარჯვენა, ტელეფონი N 182.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე

ი. ს. ახმახოვი. ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე 1—2 საათამდე.

ვნუკოვი—ქირურგ. ყოველდღე 12-1 ს.

დ. გრეიცი—თვალისა, ყოველ დღე 1—2 ს.-მდე.

მანსე—ბავშვთა, შინაგ. ავადმყ. ყოველ დღე, გარდა კვირა უქმისა 11½—3 საათ

ნოვიცკი—ბებია ქალებ., ყოველ დღე 1—2 ს.

უკლადნაკოვი—შინაგ. ავად. ყოველ-დღე 4—5 საათ.

რიდელი—შინაგ. ავად. ყოველ დღე 3—4 საათ.

ოეთრაძე—სიფ., ვენერ., კან. ყოველ-ღე 1—3 საათ.

ჩუდნოვსკი ი. ნერვ., სულ., ელექტრო-ტერაპია, ყოველ დღე გარდა კვირაა უქმისა 11½—12½ საათ.

ხარაბ—ბავშვ., შინ. ყოველ დღე 12—1 საათ.

ვეხელოვოზოროვი ნ. ნ.—ქირურგ. ავად. ყოველ დღე 2—3 საათ.

ოთხელიანისა—ქალ. ავად., ორშაბათ. ოთხშ., პარასკ., კვირა 11—12 საათ.

ლიმონი—კბილის ავად. ყოველ დღე 9—11 საათამდე.

დ. ა. მხიტარიანცი—სიფ., ვენერ., დილის 9 ნახ. საათ. 10 ნახევარ ს. ყ.-დღ.

ბონდოევი—ნერვ., ელექტრო-ტერაპ., ყოველ დღე 2—3 საათ.

ბატიხოვი ნ. დ.—ბებ., ქალ., ყოველ დღე, კვირისა და სამშაბათს გარდა 4—5 ს.

კონსულტაცია, მასსაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათოშანგის) გამოყენ ვა სისხლში პროფ. ვასნარის შრატით. (100—ნ.—36)

ექიმი ბ. ბ. ბოლოვინი

იღებს ავადმყოფთ დღით 9—2 საათამდე, საღამ. 5—7 საათ. იზმაილოვის ქ. N 2.

ექიმი ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფთ დღით 9—2 საათამდე, საღამ. 5—7 საათ. იზმაილოვის ქ. N 2.

ექიმი ბ. ბ. ბოლოვინი

ამ. ... ...

ექიმი ძ. ძუთაისში
თ. ტყეშელაშვილი
დაბრუნდა საზღვარ-გარეთიდან და გაანახლა ავადმყოფების მიღება. იღებს მინაგან და სპეციალურად ვენერიულ სნეულებით ავადმყოფთ. 9—12 ს. 6—8 საღ., ტფილისის ქ. ტილარიოზის სახლი. (50—170—39)

ელექტრონისა და რენტგენის
სამკურნალო
მიხეილ გედევანიშვილისა
იღებს ავადმყოფებს კვირის გარდა დღით 12—1 ს., საღ. 6—7 ს., გაშინჯვა და გადადგმა-რენტგენის სხივებით.
ვერა, ყორდანოვის ქ., N 20. (0—6.—115)

ექიმი **ჯ ა ფ ა რ ი ძ ე**
ძ. ძუთაისში
იყვანს ყურის, ყელის, ცხვირის, ბავშვებისა და შინაგანის სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე. ტფილისის ქუჩა, სახლი თავ. ნიუარაძისა. (თ.—188—45

ტფილისი, 28 დეკემბერი

კახეთის რკინის გზა. როგორც დღევანდელ დეპეშებიდანაც გაიგებს ჩვენი მკითხველი, კახეთის რკინის გზის საქმე ბოლოვდება: კახეთში რკინის გზის გასაყვანად საჭირო ფულს პეტერბურგის ბანკირები იძლევიან; რკინის გზისთვის საჭირო ალაგები, როგორც ვიცით, უკვე წარსულ ზაფხულს იქნა ცნობაში მოყვანილი. ამ ჟამად დარჩა მხოლოდ ფულის საქმეში დატრიალება; უნდა იმედი ვიქონიოთ, რომ მალე პეტერბურგიდან მოსულ ცნობით თებერვალში, ყველასთვის თვალსაჩინო მუშაობა—მოქმედებაც დაიწყება, სულ რამდენიმე წლის განმავლობაში მთელ კახეთის ირგვლივ შემოსერავს რკინის გზის ლიანდაგი და კახეთიც ეღირსება თავისის დიდის ხნის სურვილის შესრულებას. ყოველ შემთხვევაში კახელს შეუძლიან სრული იმედი იქონიოს, რომ ახლო მომავალში მის ნაწვავნადაგს ბაზარი გაეფართოვდება და ისეთი შემთხვევები, როგორიცაა ნაშრომის დალპობა—გადაყრა უგზობისაგან, აღარ განმეორდება; იმას თამამად შეუძლიან ხელი მოჰკიდოს ისეთ საქმესაც, რომელსაც დღევანდლამდის ერიდება უგზოობის გამო, მაგალითად, ხილის მოყვანა, რომელიც სხვათა შორის, კარგად ეფილება გაივითარდეს კახეთში. მაგრამ ვიდრე თვით დამზადებულ რკინის გზით ისარგებლებდეს. ადგილობრივ მცხოვრებლებს შეუძლიანთ ისარგებლოს თვით რკინის გზის კეთების პროცესსით. მოგეხსენებათ, ამ გზის გაკეთებაზედ დაიხარჯება არა ნაკლები 12 მილ. აქედან არა ნაკლებ 4 მილ. მუშის ქარად წავა; ეს ისეთი ფულია, რომ თუ იგი ადგილობრივ მცხოვრებთა ხელში გადვიდა, ბევრად დააწინაურებს ეკონომიურად მის მცხოვრებს და მოამზადებს რკინის გზით სარგებლობისთვის. რკინის გზის გაყვანის ამ მხრივი სარგებლობა თვით მცხოვრებთაც კარგად ესმოდათ. ეს იქიდანა სჩანს, რომ მთელმა კახეთმა ერთ კაცსავით განაცხადა თანხმობა რკინის გზისთვის საჭირო ადგილის დათმობაზედ. ჩვენ ამ ჟამად დაწვრილებით არ ვიცით, თ.-აზ. რამდენად ჩვენივის ხელსაყრელად შეასრულა თავისი დაპირება მთელის სამუშაოსი ადგილობრივ მცხოვრებთა ხელში გადასვლის შესახებ, როგორც არ ვიცით დანარჩენი პირობეები ხელ-შეკრულობისა, მაგრამ როგორიც უნდა იყვნენ იგინი ადგილობრივ მცხოვრებნი მაინც უნდა შეემზადონ, ყოველგარი ღონე ილონონ რომ მომავალი სამუშაო ხელიდან არ გაუშვან და ამგვარად ამხრივაც შეძლონ სარგებლობა. ამისთვის ჩვენის აზრით კარგი იქნება შესდგეს მომუშავეთა ამხანაგობა არტელების სახით, რადგანაც ეს სახე მომუშავე ამხანაგობის მოიჯარადრეთა ექსპლოატაციას აშორებს თავიდან.

კახეთის რკინის გზას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის. ამიტომ ყოველი ქართველი ვალდებულია გულ-ღრმათ განიხილოს ის ხელ-შეკრულობანი, რომელნიც თავად-აზნაურობის წარმომადგენლებს დაუდვიათ ბანკირებთან. საჭიროა განხილვა მრავალ სხვა საკითხებისაც, რომელნიც მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი კახეთის რკინის გზის საკითხთან. ყველა ამის შესახებ დაწვრილებით მოველაპარაკებით მკითხველებს ახლო მომავალში.

ბულგარიის ამბები. ბულგარეთი პატარა სახელმწიფოა ევროპისა. ერთხანად იგი ოსმალეთის ბატონობის ქვეშ იყო, მაგრამ 1878 წლის 12 იულისს ბერლინის ტრაქტატის ძალით, მან დამოუკიდებლობა მიიღო. ოსმალეთის სულთანი მხოლოდ სიუზერენულ უფლებებით სარგებლობდა და ბულგარიაც ვალდებული იყო განსაზღვრული ხარკი ეძლია. შინაურმა თვითმმართველობამ ბულგარიის კულტურულ განვითარებას ხელი შეუწყო. იგი დაეწყო ევროპიულ კულტურას და მტკიცე განვითარების გზას დაადგა.

ბულგარიამ ოსმალეთში მომხდარ რევოლუციით ისარგებლა და თავისი თავი სრულიად დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოაცხადა. ამ დღიდან იწყება ახალი ხანა ბულგარიის ცხოვრებაში. შეიძლება ითქვას, რომ ეს მომენტი საზღვარია ორგვარ ბრძოლისა—ეროვნულისა და სოციალურისა. ბულგარიის ეროვნული ბრძოლა, დამოუკიდებლობის გამოცხადებით, თავის უმაღლეს წერტილამდე მივიდა. დღეის შემდეგ, თქმა არ უნდა, განვითარებული ეკონომიური ცხოვრება ბულგარიისა გამოიწვევს სათანადო მუშათა მოძრაობასაც და სოციალურს კანონმდებლობასაც. დაიწყება მოძრაობა, რომელიც მხოლოდ შინაურს, სოციალურ ცხოვრების გაუმჯობესებისკენ იქმნება მიმართული. ამას საუკეთესოდ გვიმტკიცებს ის მუშათა დემონსტრაციები, რომელნიც ამ მოკლე ხანში ბულგარიის სატახტო ქალაქ სოფიაში მოხდა.

სრულის დამოუკიდებლობის გამოცხადება ბულგარიის ბიუჯეტს დიდის ლოდათ დააწვა. გაძლიერებულმა სამხედრო ხარჯებმა პატარა ბულგარიის ბიუჯეტი 333 მილიონ ფრანკამდე აიყვანეს. ასეთი გარემოება, რა თქმა უნდა, შესამჩნევ გავლენას ახდენდა მშრომელ მასის ეკონომიურს კეთილდღეობაზე; სწორედ ამანაც გამოიწვია გაძლიერებული მოქმედება კავშირთა კავშირისა, რომელიც ბულგარიაში მუშათა მოძრაობის ხელმძღვანელად ითვლება. ამ მოკლე ხანში ბულგარიის პარლამენტმა დასრულა ბიუჯეტის განხილვა, და მუშებიც დარწმუნდნენ, რომ პარლამენტზე იმედების დამყარება შეუძლებელი იყო, რადგანაც იგი ძალიან ცოტა ყურადღებას აქცევდა მუშათა კანონმდებლობას. მუშათა მოძრაობის ხელმძღვანელმა ორგანიზაციამ შეიმუშავა პეტიცია, რომელსაც 16 ათასმა კაცმა მოაწერა ხელი. პეტიციის მნიშვნელობის გასაძლიერებლად დანიშნეს მიტინგიც პარლამენტის დარბაზის წინ. შინაგან საქმეთა მინისტრმა განკარგულება მოახდინა, რომ პარლამენტის მოედანზე არ გაემართათ, მაგრამ „სახალხო სახლიდან“ გამოსული პროცესია მუშებისა იმდენად ძლიერს შთაბეჭდილებას ახდენდა, რომ მინისტრმა უკან წაიღო თავისი განკარგულება.

მოედანი ხალხით გაივსო. იმპერატორ ალექსანდრე II ძეგლი ტრიბუნად გადაიქცა. იმ დროს, როდესაც სოციალისტების ლიდერი საკიზოვი უხსნიდა ხალხს იმას, თუ რანაირი დამოკიდებულება უნდა ჰქონდეს მუშებს ბიუჯეტსა და პარლამენტთან, კავშირთა კავშირის დეპუტაციამ მინისტრ-პრეზიდენტს პეტიცია წარუდგინა. ამ პეტიციით მუშები თხოულობენ: 1) შემოსავლის კვალობაზე დადებულ გადასახადს; 2) პროპორციონალურს საარჩევნო უფლებას; 3) სოციალურს კანონ-მდებლობასა და 4) სახელმწიფო მოსამსახურეთა მდგომარეობის გაუმჯობესებას.

მინისტრ-პრეზიდენტმა გამორკვეული პასუხი არ მისცა დეპუტაციას, რაც მოსალოდნელი იყო. აღნიშნა მხოლოდ, რომ ჩვენთვის შეუძლებელია ყველა ამ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, რადგანაც ყველაზე ნაკლებად იგი ჩვენზეა დამოკიდებულია. ადვილად შესაძლებელია მუშებმა ვერავითარს გაუმჯობესებას ვერ მიაღწიონ და მოთხოვნილებანი დაუკმაყოფილებელი დარჩეს, მაგრამ განვლილი დემონსტრაციები მაინც ნათლად ამტკიცებენ, რომ ბულგარიის ცხოვრებაში ამიერიდან სოციალურს ნიადაგზე აღმოცენებული ბრძოლა უპირველეს ადგილს დაიჭერს.

გაზეთები გვატყობინებენ, მუშათა მოძრაობასთან ერთად ვაჭრ-მრეწველთა მოძრაობაც იწყებაო. გადასახადების გადიდებამ შესამჩნევად შეაწუხა ვაჭრობა. ამიტომ ვაჭრობა-მრეწველობის წარმომადგენლებსაც გადაუწყვეტიათ კავშირი დაარსონ. ეს გარემოებაც ფრიად სიმპტომატიურია. იგი ამტკიცებს, რომ სოციალური დიფერენციაცია ბულგარიაში ჩქარის ნაბიჯით მიდის წინ. ეს დიფერენციაცია უეჭველია ახალს იდეალებს წამოაყენებს და ბულგარიის ხალხურს მოძრაობასაც სრულიად სხვა მიმდინარეობას მისცემს.

დეპეშები

(მეტეორ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

საზღვარ-გარედ.

სოფია. ბულგარეთის განთავისუფლებისა გადაიხადეს წლის თავი. ამ მოვლენას მეფე ფერდინანდის, საერებო კრების, წარმომადგენელნი, რუსეთის საელჩოს და ქალაქის თვით მმართველობის საბჭოს წევრნი დაესწრნენ.

ბუხარა. ბუხარის ემირის გარდაცვალების მიზეზი თირკმლებით ავადმყოფობა ყოფილა.

ბერლინი. საქმის ვითარების მცოდნე პირნი განცვიფრებულნან, რომ იმ გვარმა სერიოზულმა ორგანომ, როგორიც „ტანია“ როგორ გამოაქვეყნა ასეთი ზღაპრული ამბებიო. ჭეშმარიტებას მოკლებულიაო „ნოვოე ვრემიას“ ცნობებიც რუსეთის მხრივ საპასუხო ნოტაზე, ვინაიდან იგი სრულიად ეწინააღმდეგება რუსეთის მთავრობის შეხედულებასაო. რუსეთის მთავრობა, სხვათა შორის, ხაზ-გასმით აღნიშნავს, რომ ზოგიერთ გაზეთების საქციელი იმით აიხსნება, რომ რუსეთ-გერმანიის დამოკიდებულებათა გართულებათა ჭსურთო, მაგრამ მათი ცდა უნაყოფოდ ჩაივლის, რადგანაც ამ ორ სახელმწიფოს მეფეებთა და სათანადო კაბინეტებთა შორის სრული თანხმობა სუფევსო.

ბელგრადი. გაზეთ „პოლიტიკაში“ ავსტრიის ქვეშევრდომის ბუხელეს თაობაზე გამოქვეყნებულია იმის მსგავსი მოქმედება, რომელიც ძლიერ წააგავს ვასიჩის საქმეს. გაზეთში ნათქვამი: ზემლინის (ავსტრიაშია) პოლიციის უფროსმა შეუკვეთა ბუხელეს, რომ მას მოეხერხებინა და ყალბი საბუთი წარმოედგინა, ვითომც ბატონიშვილს გიორგის გარდაეხადოს 5000 ფრანკი ჩერნოგორის მილობ ევტოვიჩისათვის, რათა მას მოეკლა ავსტრიის იმპერატორი. პაშიჩმა რედაქტორ პრიბიჩევიჩ ქალაქ ზაგრებში 50000 ფრანკი მისცა, რომ მას ხორვატიაში აჯანყება მოეხდინა. ბუხელე გაგზავნილ იქმნა ბელგრადში, მაგრამ ქი მას განზრახვა გაუგეს და გაძევეს.

მადრიდი. ოფიციალურად იტყობინებიან, რომ დედოფალის გუბერნატორის სასახლეში მობრძანებისას ქალაქ მალოგაში დამბაჩის სროლა გაისმაო. გამოირკვა რომ დამბაჩა შემთხვევით გავარდნოდათ. დაჭრილია ორი.

ბუქარესტი (რუმინია). ბრატიანოს ლიბერალური კაბინეტი გადადგა. აბობენ კაბინეტის შედგენას კონსერვატორთა ბელად კატოცს მიანდობენ.

პარიზი. ბ. დუშანელი მრავალ დეპუტატის თხოვნისამებრ, დასთანხმდა თავისი კანდიდატურა პარლამენტის თავმჯდომარეობაზე წამოაყენოს.

პეკინი. საკონსტიტუციო პალატამ უკუაგდო თავისი წინადადებული დადგენილება და ხელ-მეორედ მოხსენება წარადგინა, რომელშიაც ნათქვამია, რომ უმაღლესი საბჭოს წევრები, დაუყოვნებლივ ეკიდებიან თავიანთ მოვალეობას, რადგანაც პასუხის მგებელნი არ არიან, და გულ-გრილად იქცევიან სახელმწიფოებრივ მიზნის და ხალხის გაჭირვების მიმართ, ხელ მძღვანელობენ პირადის მოსაზრებით და უმაღლეს ნდობას არ ამართლებენ. საქმის მოსაწესრიგებლად უსათუოდ საჭიროა პასუხ-მგებელი კაბინეტი. ჩინეთის პრესა უკმაყოფილოა პალატის მედგარის ჯიუტობით: მშვიდობიანი განწყობილება პალატისა მთავრობისადმი უფრო მეტს სარგებლობას მოიტანს, ვინემ გამწვავებული დამოკიდებულებაო.

მონაკო. 26 დეკემბერს დიდის ამბით და ზეიმით გამოაცხადეს და ძალაში შევიდა თავად ალბერტისაგან ნაბოძები კონსტიტუცია.

მიწის ძვრა

ვერნი. დამატებითი ცნობებით ქალაქ ვერნის მიდამოებში რამდენიმე ყირგიზია მოკლული. ქ. ტოკმაკში—11, ბუამის ხევში—20. ფოსტის სადგური, ისსიყულის ტბის ნაპირად, დაქცეულია და ჰრეევალსკისთან მიმოსვლა შეწყვეტილა. მიწის-ძვრა ბუამის ხევში გრძელდება. ჯარი მხურვალე მონაწილეობას ღებულობს დაშავებულთა შველა-დახმარებაში.

ტაშკენტი. როგორც ფოსტის უფროსისაგან მიღებულ ცნობებიდანა სჩანს, შარა გზა ნოვოდმიტრიევიდან ჰრეევალსკამდის დაქცეულია. ისსიყულის ტბის გარშემო ღრმა ნაპრალებია. ტელეგრაფის ბოძები და გზა 300 საჟენზე გადაიწია.

ჯარკენტი. მიწის-ძვრისაგან მხოლოდ რამდენიმე სახლი დაიქცა. საერთო ზარალი 5000 მან. ულრის. 22 დეკემბერს კიდევ იძრა მიწა და 23 დეკემბერს, 5 საათზე, დიდ მიწის ძვრის დროს, სამხრეთისაკენ ცა გაბრწყინვებული იყო განსაკუთრებულის სინათლით.

ვერნი. (25 დეკემბერი). მრავალი შენობები დაიქცა, 700 ოჯახი უბინაოდ დარჩა და ამიტომ შეეხიზნენ ყაზახებსა და სკოლებს. ყინვა სიცივე 10 გრადუსამდე ადის. მცხოვრებლები მეტის-მეტად დაშინებული არიან; ცის ქვეშ ათენ-

---

დაკარგული კედი

(ლიურიდან).

II

რა მშვენიერი მაისის დილაა. რა სურნელოვანი სიგრილეა ამ ბაღში. დარაზმული ხეივნები, გვერდშეკვეცილ და ერთგვარ მწვანე მუნდირებში დაწკეპილნი ნელა არხევენ ხასხასა ფოთლებს. მტრედები ლუღუნებენ, ბეღურებს ჟივ-ჟივი გაეგვთ, ჭილყვავები კი გუნდ გუნდათ დასტრიალებენ გაზურმუხტებულ მიდამოს, ალბად კომუნის შემდეგ ისტორიულის ალღოიანობით თუ ესტუმრნენ პარიზს, ეგება კვლავ ჩვენს სასუნავად გამუსრულ ლატაკ-მებრძოლთა გაპარტახებული ლეშებია განმზადებულიო...

აქ კი ჩემს წინ, ხასხასა იონჯა აზრზნილ ზღვასავით ღივლივებს, მის შუაგულში, გადაშლილ ვარდის ბუჩქებ შუა მარმარილოდან გამოქანდაკებული ჟორუ-ზნდი წამომჯდარა და მის გარემოს ნაქარ ხავერდის ხალიჩასავით გადაშლილ ყვავილოვანს თვალწარმტაც სურნელებას იყნოსავს...

აგერ ის, მიხაკი ფრად გულ-გადღეღილი, უცხო ყვავილი. როგორ იზიდავს გულს!

ეს, სისხლის ფრად მოღაჟღაჟე პლუტონის ვარსკვლავი!

გსურს შენს ხელში იგრძნო მისი არსება, შენის საყნოსველიო მთლად შეისუნთქო, შენის მხედველობით, ახლოს სულ ახლოს განსჭვრიტი მისი იდუმალი ციალი, მისი მჭიბლავი მინზიდველობა.

მაგრამ, ვერ ძოგართვეს!..

დიაღ, **არა გაქვს ნება:** შენს სურვილზე, ყადღაა დადებული.

შეგიძლიან შორით უმზირო, შორით იყნოსო მისი სურნელებით მოსილი ვარემო, შეგიძლიან მხოლოდ შორიდან ასვა თვალს მისი ნარნარა მხიბლაობა, მისი სინაზის ფეთქვა.

მოწყვეტა, მისი დასაკუთრება კი აკრძალულია.

უცქირე, ეასტკბი, იყნოსე.

მხოლოდ იყნოსე მისი გარემო, მხოლოდ უცქირე...

ეს მარჯნის ფრად გაფურჩნილი ყვავილი!

ოჰ, ერთი დამაკონა შენს ტუჩებზე!

შეგიძლიან შენს საკუთარ ჭერქვეშაც იქონიო მისი მსგავსი, შენს საკუთრებად გაჰხადო მისი სინაზე, შენს მსალმუნებლად გაჰფურჩნო მისი სურნელება... იყნოსო და დასტკბე, დასტკბე და იყნოსო დაუსრულებლად, თუ გაქვს ჭერი, თუ გაქვს ბინა, თუ გაქვს ოქრო...

ოქრო, ოქრო და ოქრო!

თუ არ გაგიჩნია არც ერთი, არც მეორე, არც მესამე, იკმარე საზოგადო ბაღში მოსვლა... იკმარე აქ წუთიერი თვალის მოტყუება...

შენ შუბლწამხრილ მანსარდში კი გაიყოლიე მხოლოდ განცდანი ნაგრძნობისა, მხოლოდ მოგონება ტურფა თაიგულისა, და შენს ძუნწ ქოხმახში წარიტაცე იგი, მსუბუქ ოცნების სამყაროში, განიცადე მისი ყვავილოვნება, მისი თაიგულობა, მისი ჯადოსანი ნეტარება...

განა შენი ცხოვრებაც, ასეთი არ არის?

მხოლოდ ცქერა, მხოლოდ ცქერა! მარტოოდენ ცქერა!

მაცქერალი!

უთვისტომო, უბინაო, უსახლო, ყველასაგან მიტოვებული, დასწრწი უცხოთა შორის და ეძიებ შენს დაკარგულს ბედს...

ეძიებ და უცქერი..,

უცქერი და ეძიებ...

მხოლოდ ეძიებ!

სხვა გასაქანი, ხელმისაწდომი არა გაქვს რა!

სამშობლოვ ჩემო, ნუ თუ ასე გასწირავ შენთვის აძგერებულ გულს? ნუ თუ მოიძულებ შენს მოთაყვანე მოსიყვარულე ადამიანს? ნუ თუ?!

სამშობლო?

განა სამშობლოს გული აქვს, რომ იგრძნოს; ყური აქვს, რომ ისმინოს, თვალები აქვს, რომ დაინახოს?!

სამშობლო,—ეს ხომ არც ივანეა, არც პეტრე, არც ნიკოლე, არც მათუსალა... ეს ხომ ყველა ერთად გაპიროვნებულ შეხორცებულ-შედუღებული ივანეცაა, პეტრეც, დურმიშხანიც, სტეპკოიაც, თევდორეც... ეს ხომ გაზურმუხტებულ მთა-ველზე და მთელო-კორდებზე ძუძუნასხლეტი მშობლიური ხალხია, მშობლიურის კაშკაშა ცით, გამაცოცხლებელ ჰაერის ციალით, მოდუდუნე მტკვარ-რიონით.

ყველა მათგანს ხომ შენსავით სადღეს-ხვალიო საზრუნავი და ჭაბანწყეტა დასწოლია ამ გაუკულმართებულ ცხოვრებაში, ყველა მათგანი ხომ გაჯოჯოხეთებულ ზარფუშქვეშ კვნესის, ღოღიალობს და არსებობის შესარჩენად ებრძვის ცხოვრების ორომტრიალს...

მაშ, შენც შეეცადე შენის არსებობისათვის, შენც აპართე ხელი, ყანყრატოში ეცი გაგულმკვდარებულ ცხოვრების უკუნეთის სამეფოს, ააციცქნე შენი წილ-ხდომილი ულუფა, მიუახლოვდი შენს დაკარგულ ბედს და იარსებე, იცოცხლე მთელის გულით, დაეუფლე მას, როგორც მეუფე ცხოვრებისა, მეუფე ბუნებისა!..

— მეც აქა ვარ!—ამოიძახა კეჩმა და თვალი-თვალში გამიყარა.

სიბრაზისაგან ცივმა ოფლმა დამასხა, წამოვიწიე და იმდენი ძალა აღარა მქონდა, რომ იქვე წამელრჩო.

ისევ სკამზე გადავესვენე და ტურფა თაიგულს მივაპყარ თვალი...

— სიკვდილი?..

კუჭოსნოპის სენით მოპოვებული. სიკვდილი, ისიც უცხოეთში?

განა ამისათვის მოჰსულხარ აქ?

განა სიკვდილი სამშობლო კერაზე კი არ შეგეძლო?

აქ რადა გიშლის?

— სიცოცხლის წყურვილი!

— სიცოცხლე ვისთვის, ან რისთვის?..

რას ესწრაფები? საით მიგაქანებს ცხოვრების ნავი?

ქვეყნის ხსნა გინდა?!

საბრალო!

რითი გსურს ქვეყნის ხსნა, მის შველა?

შენ, რომელსაც შენი გამგელებული კუჭიც ვერ ჩაგიჩუმებია, შენ ქვეყნის ხსნასა ჰლამი?!?

შენს თავს ატყუებ, საბრალო ადამიანო! მწარედ დასცინი შენს ბედს, უფრო მწარედ, ვიდრე ცხოვრება დაგცინის შენ.

იცი კი, ვინა ხარ შენ? რა ხარ? რისთვისა ხარ? ვის რად უნდიხარ? ვის რად გამოადგები!..

ისწავლი? მეცნიერებას შეიძენ? მცოდნე კაცი გახდები, მეცნიერი?

გეცოდინება ადამიანის უადამიანობა, მისი მხეცური ქვედაბუნობა დასაწყისიდან დასასრულამდე?!..

გეცოდინება მისი განუწყვეტელი ბრძოლა ეშმაკებთან, ბრძოლა ტყეღრეესთან, ბრძოლა მომქუხარე ზღვა-ოკეანესთან, მეხ-მუდგართან, ბოძოთა უმხეცეს და ულაჩრეს ორფეხა არსებასთან, რომელსაც ადამიანს უწოდებენ?!..

საბრალო, ბავშვო!..

შენ, ბავშვი, ბუნების მეუფე ხარ?!!

შენ, ბავშვი, ცხოვრების მეუფე ხარ!?

შენ?! ხა-ხა-ხა-ხა!.

მეფე ბუნებისა, მეფე ცხოვრებისა, მეუფე ურიათა, მეუფე ადამიანისა, მეუფე თავისის თავისა!

შენ, ბავშვი, მეფე ხარ?!.

— ნუ იცინი, რუქაია! ნუ იცინი!..

— შენ,—მეფე?! ხა-ხა-ხა-ხა!..

— რუქაია, გულქვა ხარ, რუქაია!.. ისეთივე ცივი ხარ, როგორც იალბუზის ყინული, ისეთივე შეუბრალებელი, როგორც ოკეანის ჯაგარ-აშლილი ხეთქება, ისეთივე უსამართლო, როგორც ფუფუნებაში განებავრებულ ადამიანის სინიდისი, ისეთივე არარაობა, როგორც სათუთ ბატონობის წარმავლობა... ნუ იცინი, რუქაია! მეფე ვარ, მეფე! აბა, შემომხედე, რითი არა ვარ მეფე?!

— მეც აქა ვარ!—მუჯლუგუნი წამკრა კუჭმა და დაიღრიჯა.

სამაგიერო ვუთავაზე!.. დაყუჩდა.

— შენ, ბავშვი, სულელი ბავშვი, მეფე ხარ?!. შენ, ცეროდინა კაცუნა, მეფე ხარ?!. ერთი ნაფოტი ცხოვრების უსაზღვრო ზღვაზე, მეფე ხარ? სულელო, ბავშვო, დაჰხარე ქედი ჩემს წინაშე, დაჰხარე ქედი!..

ჩემს მეტი შენ ვერავინ გიხსნის!. ვის რად უნდიხარ!? შენ ჩემი ხარ, მხოლოდ ჩემი.. შ ნს მედიდურ სიამაყეს ფეხქვეშ გავქელავ, შენს სპეტაკ თავმოყვარე ბას ტბლახში განვასთხომ, შენს სულელურ ოცნების სამყაროს გავანიოლრწყლებ!.. დაჰხარე ქედი, სულელო ბავშო, დაჰხარე ქედი!.. რუქაია—ეს თვით ღმერთია, რუქაია—ეს თვით სამყაროა, რუქაია—ეს თვით ცხოვრების ხორცსხმული ქანდაკებაა!. დაჰხარე ქედი ამ წინაშე უძლურო ბავშვო, დაჰხარე ქედი!..

— არასოდეს!.. ქედის დახრა ცხოვრების წინაშე, ქედის დახრა რუქაიას წინაშე, ქედის დახრა იალბუზის წინაშე,—ქედის დახრა ბრბოს წინაშე!?—არასოდეს!!

ბენ. ჩრდილოეთ აღმოსავლეთის ნაწილში ალმატინსკის სტანიცაში, მომიჯნავე ქალაქთან, ღრმა ნაპრალები და ოღრო-ჩოღროები გაჩნდა.

ვერნი. ცნობები მიწის ძვრისა ტოკმაკში, პიშპეკში, ბუდონსკის ხეობაში და დასავლეთ ნაწილში ჩრდილოეთ ნაპირისა ისსიყულისა გვაუწყებენ, რომ დედა ძარღვი მიწის-ძვრისა არის აღმოსავლეთ მხარეს ისსიყულისა ანუ ცოტაოდნად სამხრეთით.

ჯარკენტი. მიწა იძვრის დრო გამოშვებით. უკანასკნელი ძვრა იყო 7 საათს, დილას.

ტაშკენტი. პრეევალსკში მიწის-ძვრას დიდი ზიანი არ მიუყენებია, ფოსტა მოვიდა. გზა და გზა სოფლები დაქცეულა და ნანგრევებში მრავალი მოჰყოლია. ტელეგრაფი 10 ვერსის მანძილზე გაფუჭებულა.

რუსეთი

პეტერბურგი. სენატმა შეკრებულ სხდომაზე პირველ საჯაზეო დეპარტამენტებისამ დაადგინა შეეთხოს ტფ. სასამართლო პალატის გამმიჯნულ დეპარტამენტის წევრებს დიდეესკის და შმურდოს და აგრეთვე სასამ. პალატისს უფროს თავმჯდომარეს იმ უწეს-რიგობის გამო, რომელიც ადმოაჩინა ობერ-პროკურორმა რეინკემ გამმიჯნულ საქმეების და საკითხების მოწეს-რიგებაში. აგრეთვე დაადგინეს, თუ რა ზომები და საშვალებანი იქმნა მიღებული უფროსს თავმჯდომარესაგან, რომ მომავალში ადარ განმეორდეს საქმის დაუწყარებლობა.

ჰელსინგფორსი. როგორც კენჭის დათვლამ ადმოაჩინა, სულ-მომდე, 23 დეკემბერს სოციალ-დემოკრატებს მიუღია 95,083 ხმა; „ძველ ფინებს—61,608 „ახალ-კაზლა“ ფინებს—35,110. შვედებს—29,311 და აგრარიებს—11,423.

პეტერბურგი. 21 დეკემბერს, ხელმწიფე იმპერატორმა შემდეგი სიტყვებით მიმართა საიმპერატორო უნივერსიტეტის წარმომადგენელ პროფესორებს: ბატონებო, მე გამეხარდა თქვენი ნახვა. მე მოგიწადინე თქვენი მიღება, რომ მსარი დაგიჭირო თქვენ და თქვენს მოქმედებას. მე ვიცი, რომ ეს ძნელია, მაგრამ განაგრძეთ კამარჯვებით, როგორც აქამდის. ეშსაურეთ შეუპოვრობით და საქმიანობით მეცნიერებას, მაშულს და მე. მსარი დაუჭირეთ იმათ, ვინც მოსურნეა სწავლისა; მე დარწმუნებული ვარ, რომ მათი რიცხვი იმრავლდებს. გადაეცით ის, რაც მე გითხარით თქვენს ამხანაგებს. მშვიდობით, ბატონებო. გისურვებთ ბედნიერად შეხვედროდეთ ახალ წელს.

ხარკოვი. ვერნში მიწის ძვრის გამო სამთა-მადნო მრეწველთა საბჭომ დაადგინა, რადგანაც სეისმიურმა მოვლენებმა ადნიშნეს მადროებში, ერთობა გაზების აფეთქებასთან — ვისაც ჯერ არს ეურადღება მიექცეს მადროებს, რომ უბედურება რომ არ დატრიალდეს.

ჰელსინგფორსი. არჩევნების საბოლოო შედეგი; შვედები — 15,355, სოციალ-დემოკრატები — 12,412, „ძველ“-ფინები—5,994, „ახალ-კაზლა“ ფინები—1,922. სულ ძველ ფინ-ლანდიაში მიიღეს 95,033 ხმა სოციალ დემოკრატებმა; 61,608 „ძველ“-ფინებმა; 35,110 „ახალ-კაზლა“ ფინებმა 39,311 შვედებმა, 11,423 აგრარიებმა; 6,104 —ქრისტიან მუშებმა.

ბენერალ-გუბერნატორმა სენატს მიუთითა, რომ რუსეთის სტატისტიკოგრაფიის სწავლება საშუალო და სახალხო სასწავლებლებში უფრო გრცელად იქმნას დაეენებული, რომ ამით მაზრდილ თაობას განუდგეძონ პატიოსნებმა, ერთგულობა და სიყვარული რუსეთისა.

დეპეშა

(საგანგებო).

პეტერბურგი. 25 დეკემბერი. კახეთის რკინის გზის რეალიზაციის ხელშეკრულობა რუსეთ-აზიის ბანკთან დადებულ იქმნა ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის სახელით, რომელმაც ხელი მოაწერა 400 ათასის მანეთის აქციაზე. თავად-აზნაურობას უფლება აქვს შეესაფერ სარგებლის გადახდით კიდევ შეიძინოს 550 ათას მანეთის აქციები. გამგეობაში 5 კაცი იქმნება. დირექტორი პირველად ორი იქმნება, შემდეგ—ერთი. 30 ათასი მანეთი ბე დაბრუნებულ იქმნა. შემდეგ მუშაობათა დასაწყებად შტატს ადგენენ. **დიმიტრი ჩოლოყაშვილი.**

პეტერბურგი. 24 დეკემბერი. ფინანსთა მინისტრის ნებართვით და თანახმად წესდებისა, რუსეთ-აზიის ბანკის მიერ საალაქიო თანხის შეტანის შემდეგ, შესდგა პირველი საერთო კრება კახეთის რკინის გზის აქციონერებისა. რკინის გზისთვის გამოჯნულ მიწის გატკეცას თებერვალში შეუდგებიან.

დიმიტრი ჩოლოყაშვილი.

(შემთხვევითი).

პეტერბურგი. კახეთის რკინის გზის გასაყვან თანხის განაღდებაიკისრა რუსეთ-ჩინეთის ბანკმა, რომელსაც ახლა რუსეთ-აზიის ბანკი ჰქვიან. ეს ბანკი შედის ინგლის-რუსეთის ტრესტში. წინასწარი მუშაობა სამს თვეზე დასრულდება. განზრახულია, რკინის გზის გაყვანა დაასრულონ ორ წელიწადს. ტრესტის რწმუნებლად თავ. ნიკოლოზ ჩოლოყაშვილია.

პეტერბურგი. 24 დეკემბერი. ბოდიშს ვიხდი, რომ დავიგვიანე. საქმეში ვიყავ გართული. ვულოცავ ძვირფას კოტე მესხს იუბილეს.

დიმიტრი ჩოლოყაშვილი.

ახალი ამბები

ტფილისი

◆ **ღარიბთათვის.** გაზეთ ისაკ ბედიანი ძმ ჩვენს რედაქციას გადმოსცა ეცნობთაგან შეწირული 25 მანეთი ღარიბთათვის დასარიგებლად.

◆ **კოტე მესხის იუბილე.** დამსახურებულ და ნიჭიერ მსახიობის კოტე მესხის იუბილე ამიერ კავკასიის ბერეს დაბა ქალაქში იქმნება გამართული. ყველგან წარმოდგენილ იქმნება მხოლოდ ორი ერთ-მოქმედებიანი პიესა: „ნაპოლეონის სიკვდილი“ და „სიზმარი ბიუროკრატისა“. საიუბილე წარმოდგენა გაიმართება: 4 იანვარს—ქუთაისში, 9-ს—სამტრედიაში, 14-ს—ბათომში, 23 ს—გორში. ფოთსა და ჭიათურაში წარმოდგენის დღე ჯერ არ არის დანიშნული.

◆ **მისალოცი დეპეშა.** მოსკოვის სამხატვრო თეატრის არტისტებისაგან კოტე მესხმა შემდეგი დეპეშა მიიღო: „ვულოცავთ ძვირფას იუბილეარს დღევანდელს დღეასწაულს. ვისურვებთ კვლავ ვნახოთ იგი მოსკოვში, სადაც მოსკოველურად გადავიხდით ჩვენს იუბილეს „ტორეადორები“ მოსკოვის სამხატვრო თეატრისა: ლუჟსკი, კაჩალოვი, მოსკვინი, ბალიევი, ალექსანდროვი, ლეონიდოვი, ადაშევი, ურალოვი, მჭედლიშვილი, მასალიტინოვი, ზვანცევი, გრიბუნინი, არტემ ვორონოვი.

◆ **ზარდალიშვილის ბენეფისი.** ხუთშაბათს 30 დეკემბერს, ქართულ თეატრში ახალგაზდა მსახიობ ი. ზარდალიშვილის საბენეფისოდ წარმოადგენენ „მემკვიდრე პრინცს“. ამ პიესამ მოელი ევროპა მოიარა და ყველგან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. მხოლოდ ბერლინის დიდ თეატრში 400-ჯერ დასდგეს.

◆ **გვთხოვენ გამოვაცხადოთ** ფოსტა-ტელეგრაფის მთავარ სამართველოს უფროსის ნებართვით ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებებში მიიღება მისალოცი საახალწლო დეპეშები, რომლებსაც აუცილებლად უნდა ეწეროს „მისალოცი“, ან „საახალწლო“. ეს დეპეშები დანიშნულებისამებრ მივა პირველ იანვარს, დილის 8 საათზე.

◆ **33 დეკემბერს** მაძებარმა ჰოდიციამ ტფილისში შეიპყრო ფოსტის მოხელედ ნამეფოფი ადამ გიორგაძე შვიდი, რომელსაც ადების ბდანკების დამზადება ბრალდება.

◆ ჰოდიციამ ტფილისში შეიპყრო: 24 დეკემბერს—75 უპასპორტო, 25-ს—15 და 26—57.

◆ **26 დეკემბერს** ტფილისში შეიპყრეს გრიქორ ქარამოვი, რომელიც ადმინისტრატიულ წესით იყო გადასახლებული და თავის ნებით დაბრუნდა.

ჩვენი ახალგაზდობა

რას იფიქრით? თქვენ თავს დასცინით.

ნ. გოგოლი.

აწმყო ყოველთვის მომავლის მაჩვენებელია, მისი მშობელი. ამ მხრივ აწმყოს შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს ყოველის ერისათვის. ერი ყოველთვის უნდა სცდილობდეს ფხიზლად იყოს და აწმყოს აუმჯობესებდეს და მხოლოდ მომავლის იმედით არა სცხოვრობდეს.

თუ ქართველი ერის მდგომარეობას გავიცნობთ, თუ გავიცნობთ თაობას, რომელიც ახლო-მომავალში საზოგადო ასპარეზზე უნდა გამოვიდეს, უნუგეშო სურათი გადაგვეშლება თვალწინ. ბევრი თქმულა და დაწერილა ახალგაზდობაზე, ბევრს დაუგმია კიდეც, მაგრამ თითქოს შორიდან უცქერის მას, ვით უცხო ვინმეს და თავისად არა სცნობს.

ისე ლაპარაკობენ ახალგაზდობაზე, თითქოს რაღაც განცალკევებულს, საზოგადოებისაგან დამოუკიდებელს რასმეს წარმოადგენდეს. როდესაც ჩვენს ახალგაზდობაზეა ლაპარაკი, უნდა მთელი საზოგადოება გავშინჯოთ, მისი იდეალები წარმოვიდგინოთ და გამოვარკვიოთ, რამდენად ჰგვანან, ან განსხვავდებიან მომავალ საზოგადოების წევრები ახლანდელებისაგან, პირმშო შვილნი არიან საზოგადოებისა, თუ არა?

ყოველ ერის ცხოვრებაში დიდი მნიშვნელობა აქვს ოჯახს, ოჯახია ის ბურჯი, და არა სკოლა, რომელზედაც ემყარება საზოგადოების მომავალიცა და აწყმოც. ოჯახია ის ქვაკუთხედი, რომელზედაც ნორჩი ბუნება აღმოცენდება და ამისი სიავ-კარგე ამ საფუძველზეა დამყარებული. უვარგისია ოჯახი—უვარგისი იქნება მისი აღმზრდელიც. ტყუილად კი არ უთქვამს ჩვენს ერს: „დედა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე გამონახეო“.

ჩვენში კი ოჯახი,—ამ სიტყვის ნამდვილის მნიშვნელობით,—არა გვაქვს; ეს გარემოება ამას წინად ერთ-ერთ ქართულ გაზეთის მოწინავე წერილშიაც იყო აღნიშნული. ოჯახის უქონლობისა გამო არ არის ტრადიცია, ერთი რამ შეურყეველი, რაიც მემკვიდრეობით გადადიოდეს. ხშირად შეხვდებით ჩვენში ისეთს ადამიანს, რომელიც საზოგადო მოღვაწეა და მისმა შვილმა კი მიხი მოღვაწეობისა არა იცის-რა.

ყოველი ჩვენი მოღვაწე ყოველს საქმეს მუდამ თავიდან იწყებს, თითქოს მის წინად არავინ ყოფილიყოს: არავითარი სურვილი ძველზე ახლის აშენებისა და ძველის შესწავლის!

ამისი ბრალია, რომ ქართველი მოღვაწე თავის შემდეგ ძალას ვერა გრძნობს, იმ ძალას, რომელიც მის მიერ დაწყებულ საქმის განმგრძელებელ იქნება. ეს არის ოჯახისა და ტრადიციის უქონლობის შედეგი.

ტრადიციისა ოჯახის უქონლობას მარტო ჩვენ არა ვჩივით, გადაიკითხეთ „Вѣхи“ და გაიგებთ რას მოსთქვამენ რუსეთის ინტელიგენტები, რას აბრალებენ ახალგაზდობის მოუმზადებლობას, რითა ჰხსნიან რუსეთის ინტელიგენციის მახლობელ წარსულში დამარცხებას. ჩვენი მდგომარეობა უფრო უარესია.

ახლანდელი სკოლა საღ პედაგოგიის მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს და რუსეთის საზოგადოების მოწინავე ნაწილიც მის შეცვლასა სცდილობს. სკოლის საზოგადოდ უვარგისობას ჩვენში ერთვის სხვაც ეს გახლავთ უცხო ნიადაგზე ახალგაზდობის აღზრდა, უცხო კულტურაში გათქვეფა. დიპლომით ქართველი, რომ მოინდომოს კიდეც,—ხშირად უძლურია მშობელს ერს შესძინოს რამე, რადგან არ იცნობს მის ენას, არ იცნობს მის ინტერესებს და კულტურას.

ქართველი ინტელიგენციის ტრაგიზმიც ამაშია და აქედან ჩნდება ის ორმაგი პოლიტიკა, რომელიც პატიცემულმა არჩილ ჯორჯაძემ აღნიშნა. თავისიანებში გაძოკლებული, ვერც სხვას მიჰკედლებია ქართველი და უსუსურობას წარმოადგენს, რომელზედაც შეიძლება თქვას: „დიდ ქვაში არ ეტეოდა, პატარაში ლაღი იყო“.

ახლანდელს ახალგაზდობას ბევრი ჰგმობს და მწუხარებით აღნიშნავს მისს მოუმზადებლობას, მის უიდეალობას. კარგი, მაგრამ საკითხია. ეხლანდელი ასალგაზდობა წინანდელს სჯობია, თუ უფრო დაბლა სდგას.

როდესაც ფოცხვერაშვილის „აშენდა საქართველო“ წერომოადგინეს, დიდი მითქმა-მოთქმა გაიმართა. ზოგმა ამ პიესაში სინამდვილის დამახანჯება დაინახა და ზოგმა ცხოვრების ნამდვილი სურათი. ჩემის აზრით პიესა სწორედ ჰხატავს ჩვენის ახალგაზდობის ცხოვრებას, თუ ზოგიერთ კარიკატურიზმს არ მივიღებთ მხედველობაში. ახალგაზდობაში არის რასაკვირველია, შეგნებული ნაწილი, რომელიც სულ სხვა იდეალებითაა გატაცებული, ვიდრე უმეტესობა, მაგრამ ეს ნაწილი ისეთი მცირეა, რომ ვერსად წაუვა უმეტესობის დამღუპველ გავლენას. ესენი მეტ-ნაკლებად ნუგეშია და გამხნევებას საზოგადოებაში ეძებენ, მაგრამ უბედურებაც ისაა, რომ საზოგადოებაში ძლიერ ცოტაა იდეის მსახური ადამიანი. ნორჩი ბუნება ირგვლივ ენუგეშოდ იყურება და აქა-იქ, როგორც უდაბნოში ოაზისებს, თუ ჰხედავს ადამიანთ, რომელთაც საზოგადო რაიმე გარკვეული იდეალი აქვთ.

როგორის პატივისცემით ეპყრობა ახალგაზდა ამისთანებს!

თუ შენ ღმერთი ხარ, თუ შენა ჰქმნი ცხოვრებას, თუ შენ ქვესკნეთის უფსკრულიდან ამოაქშენ გავარვარებულ რკინა-ლითონს, თუ ცეცხლის წარღვნით ჰბუგავ პომპეიას და მის მიდამოებს და მისის ნატერფალიდან უძირო ოკეანეში უზარმაზარ კუნძულებს აკოწიწებ, თუ შენ აწვიმებ წარღვნას, თეთრ სუდარად ჰბარდნი ხმელეთის მკერდს, ნიაღვრითა ჰლეკავ ადამიანის ნაჭირნახულევს,—დაე, იყავი ღმერთი!.. მე შენთან საერთო არა მესაქმება რა! იყავი მეუფე სამყაროისა, თუ კი ძალა შეგწევს!.. იღმერთე, სანამ გელმერთებოდეს, ითაყვანე, ვინც გეთაყვანებოდეს, იმონე, ვინც გემონებოდეს!.. მე კი არა ვარ მონა! მეფე ვარ ჩემის თავისა და მის გარეითად არ არს ჩემდა მეუფე.

მთლად ჩემის სამყარო გულში დამაქვს, ჩემი ღმერთი გულის სიღრმეში ჰბუდობს, ჩემი ზღვა-ოკეანე და უინულით ნაკვეთი მწვერვალოები გულის ფირფიტაზე მაქვს აღბეჭდილი, ცეცხლის მფრქვევი მთები, თუ ოკეანის უსაზღვრო ძირზე აბურთილი ბორცვები გულშივე დამაქვს. შენ მიერ ფერფლად ქცეული ქალაქები, სეტყვით ჩარეგვილი მდელო-კორდები, ადამიანთა სისხლით მორწყული ველი-მინდორი, ნაფოტად ქცეული გემის ქუცმაცები გულშავე დამაქვს.

ღმერთი ხარ შენა?. იყავი ღმერთი შენის თავისა! მე კი სანამ სისხლი მიჩქეფს, სანამ მაჯა მცემს, სანამ გული მიფეთქს, მეფე ვარ ჩემის თავისა და არაფრის წინაშე ქედს არ ვიხრი!...

— ფრთხილად, უგუნურო, ბავშვო!.. ნავში მჯდომი მენავეს ეომები?! რა ხარ შენ? ერთი ამოქშენა, ერთი დამთქნარება, ერთი სულის შებერვა! და მაინც მეუფებას ჰლამი? შენ ისეთი უჩინარი, პაწაწინა ნაციცქნი ხარ, რომ ვერც კი გამჩნევ ჩემს ღვთიურის თვალით!. შენ, არარაობა, მეფე ხარ?!. შენ ავყია ბავშვი, მეფე ხარ?!

— უჩინარი ვარ შენთვის, მაგრამ შენ კი თვალსაჩინო ხარ ჩემთვის?! ჭკირე ვარ, პაწაწა, ერთი ამოქშენა—როგორც შენ ამობ—დაე, ასე იყოს, მაგრამ შენ იმდენად ფართე ხარ ჩემთვის, რომ ვერც კი გამჩნევ, და არცა მჭირდება შენი ქოჩრისა და ფეხის ფრჩხილების დანახვა...

შენ იმდენად მჭირდები, რამდენადაც გხედავ: რაც ჩემის მხედველობის იქითაა, რასაც ჩემი არსება ვერა სწვდება,—იგი მკვდარი არარაობაა ჩემთვის!.. ღმერთი ხარ სამყაროისა? მეუფე ხარ ცხოვრებისა?..

იყავი შენთვის! იბუზღუნე, იპარაპაშე, იუფლე, მაგრამ ჩემდათავად, მე მეუფე ვარ ჩემის თავისა, მეუფე მთელის ცხოვრებისა, რამდენადაც ეს ჩემს აღფრთოვანებულ ძალღონეს ემორჩილება!. ჩემის ძალღონის იქით არა მაქვს-რა მე სანეტარო.

მსურს ის, რაც შემიძლიან, და შემიძლიან ის, რაც მსურს. რადგანაც თუ არ მესურვილებოდეს არც შემეძლება და თუ არ შემეძლოს, არც მესურვილებოდა. ჩემი სურვილი ფართეა, მაგრამ მკაფიო, ჩემი ძალღონე მკაფიოა, მაგრამ ფართე: მსურს მუდმივად ვიყო მეუფე ჩემის თავისა, მეუფე მთელის ცხოვრების ოღრო-ჩოღრობისა, მსურს, და—ვარ კიდეც!..

რად იღმაჰები ასე, რუქაია?.. როდი გიხდება! შენ ხომ სამყაროს მამოძრავებელი ღმერთი ხარ! შენ ხომ ძლიერი ხარ!.. ხა-ხა-ხა-ხა!.. რად გელმიჰება სახე, რუქაია?!.. რად გელმიჰება სახე?!.

შენ ხომ შეჰმუსრე არაბეთი და ალინა, რომი და ბოსპეი, შენ ხომ ცეცხლის წარღვნა აწვიმე სოდომსა და გომორს, ხომ ნიაღვრით წაჰლეკე მთელი მსოფლიო და შავი ზღვა გურგენის ზღვას მოსწყვიტე!.. შენ ხომ ნაცარ-მტვრად აქციე არმაზი, რუისი, მცხეთა და იყალთო. შენ ხომ სისხლის წარღვნით გადაჰრეცხე მთელი ხმელთა კიდე აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე და სამხრეთიდან ვიდრე ჩრდილოეთამდე!

შენ ხომ ყოველ წუთს ძალგიძს შეჰმუსრო ჩემი სუნთქვა, მაჯა გამიხმო, ენა დამიდუნო, გული დამისერო, გონება წარმტაცო...

მაგრამ, სანამ ვფეთქავ, სანამ ვმოძრაობ,—შენ უძლური ხარ ჩემს დასამონად: მე ვარ მეუფე ჩემის თავისა და სანამ შენ ხელს შეახებდე ჩემს შინაგან სამყაროს, მე შემიძლიან იგი ადრევე ჩემის ხელით მოვსპო, ბოლო მოვუღო ჩემს სულთქმას.

შენ შეგწევს ძალა წინააღუდგე ჩემს გასალკდევებულ, გარდუვალ ნებას!?. ჩემს სურვილს, ჩემ გადაწყვეტილებას?!. ვერასოდეს!

რომის ისტორიულმა პამპულანერონმა განა სძლია სიდარბაისლითა და სიმტკიცით აღსავსე პეტრონიუსის გული?!. ვერასოდეს, ვერასოდეს!..

არა, არა! შენ, უძლური ხარ, რუქაია, უძლური!..

— მეც აქა ვარ!..—დაიკნავლა კუჭმა და რკალივით მოიხარა.

— ჯანდაბის გზაზე იყავ!.. თუნდ მოჰკვდი, ჩაიხვეწე!.. ეგ შენი საქმეა!.

მე კი სიცოცხლე მწყურს!.. მსურს ვუცქირო პრწყინვალე მზეს, ვუსმინო ნიაგის სისინს, ყური დაუგდო ჩანჩქარის ღურღუტს, თვალი მოვავლო გაზურმუხტებულ ველის გულმკერდზე ნაქარგ თაიგულს. მსურს ვუცქირო, მხოლოდ ვუცქირო ადამიანთა ფუსფუსს, მისს ცოცვასა თუ ბობღვას, ვისმინო მისი კვნესა-ხარხარი, ვიხილო მისი თეთრი კბილი და შავი გული... მისი სიფლიდე და ღვარძლი, მისი სინაზე და მოსიყვარულება, მისი ქვედაბუნობა და ზეამაღლება...

მხოლოდ ვუცქერო, მხოლოდ ვუცქირო!..

მაცქერალი!

გიმზერ შენ, სამყაროს მანათობელო და მსურს განვიცადო შენი იდუმალება, შენი ანდეზე მიმართული გეზი; გიმზერ შენ, ცხოვრების ზღვის ამღვრეულო ფრთაქცეულო და მსურს განვსჭვრიტო შენი შინაგანი ფსკერი, შენი საბოლოვო ფეთქვა, შენი დაღსრულებელ ქანაობის ძლევა მოსილი სისუსტე, შენი არარაობა და ღვთაებრივობაც, შენი ქედ წახრილობა და გამარჯვებული ზეიმი, შენი დაბნეულობა და მედგარი მისწრაფება, შენი ოღრო ჩოღროობა და განვაკებული ტაფობები!..

მხოლოდ გიმზერ, მხოლოდ გიმზერ!

იქნება შენც ზენასამყაროც, თეთრჩაფწუტოსანი მთვარეც, დაქანებული ქდინარეც, ზღვა-ოკეანეთა ფთაქცეული ტალღებიც, მანათობელთა უსაზღვრო, სამარადისო ციალიც მხოლოდ ჩემის გონების ლანდი ხართ?!.

იქნებ თქვენს იქით, სხვა სამყაროსკენ მიმავალი ირმის ნახტომი მიგვიყვანდეს უცხო, მაგრამ სანეტარო, ქვეყნისაკენ, სადაც ყოველი არსი სულიერია და ყოველი სულიერი თვით-შეხმატკბილებული უსრულესი ღვთაებაა!

— რაბბი, მეც აქა ვარ!—ძლივსღა ამოიკნავლა კუჭმა.

„შეიყვარნეთ მტერნი თქვენიო“ სთქვა ბრძენმა.

მეც შევუნდე მას, კუჭსა ჩემსა, შეცოდება მისი, რადგანაც მისი დაღადისი არავის გაუგონია და ხელიხელ ჩაკიდებული წამოვდექით სკამიდან.

კუჭმა დამწია, ციკლოპის თვალით ჩემს ფეხთან გაშტერებით დაეცქერდა და სანამ გონს მოვიდოდი, სპილოს ხორთუმივით ჩაუშვა ჩემი ხელი და 25 სანტიმიანი ხელში შემრჩა.

რა სთქვა კუჭმა?

რა ვუპასუხე?

ერთმანეთს ესიტყვოდ გადავხედეთ: ჩვენი გადაწყვეტილება შეუდრეკელი იყო.

დავეზოვე ბალნარი მშვენიერი, რომელმაც ეგოდენ შეუმჩნევლად გამატარებინა 4—5 საათი და პირდაპირ იქით გავსწიეთ, სადაც თქვენ წახვიდოდით.

ბაღის პირდაპირ თამბაქოს დუქანში და მეპურესთან.

მერე კი ღიღინით გავეშურეთ სენ-ჟენევიევის ბიბლიოთეკისკენ.

საკვირელია, 4—5 საათი ერთს ადგილს მჯდომარე, თითქმის ერთს წერტილს დავჩერებოდი და როგორც აღმოჩნდა ეს წერტილი სწორედ ის 25 სანტიმი (10 კაპ.) იყო.

ნეტავ მტრედმა ჩამოაგდო მაღლიდან, ბედურამ, თუ კომუნართა სისხლით გაღებული ჭილყვავთა ჩამომავლმა?!. **ნარკანი.**

მაგრამ ვერ დაჰკავშირებია, ვერ დაახლოვებია, ვერ გაუმხელია ვისთვისმე თავისი გულის ნადები, ვერ მოუპოვებია უფროსი ამხანაგები ახალგაზლობას უიდეალობასა და ფუქსავატობას უკიჟინებს. ნეტა რა მიუცია, რასა სთხოვ! უჩვენოს თვით მაგალითი, სწორე გზაზე დააყენონ მაგრამ ამას როგორ იზამენ, როდესაც თვით შეჰრიგებიან არსებულ მდგომარეობას, არც გარკვეული იდეალი, არც სურვილი მასზე ზრუნვისა არ მოეპოვებათ.

ან კი სად არის ჩვენში ძლიერი ადამიანი, რომელიც თავისი პიროვნებით სხვებს შეაკავშირებს და ერთი მიზნისაკენ გაიტაცებს? ჩვენი მოწიფული ახალგაზლობა მარტო ოდენ მომავლით სცხოვრობს, მისი ფიქრი მომავალს შესტრფის და აწმყო კი ავიწყდება. ყოველს დღევანდელს ნაბიჯს იგი მნიშვნელობას აკლებს, ყველაფერს მომავლისთვის გადასდებს.

ეს ძლიერ სამწუხაროა და ვაი მას, ვისაც აწმყოს შეგნება არა აქვს, ვაი, რადგან ადვილად შეიძლება მომავლის მოლოდინში ადამიანმა მთელი სიცოცხლე გაატაროს და ცხოვრება ველარ განიციდოს. ბოლოს გვიანდა იქნება თითზე კბენანი და ჩვენც იბსენის დრამის გმირებთან ერთად შეგვეძლება ვსთქვათ: „ოდეს ჩვენ მკვდარნი განვიდვიძებთ, გავიგებთ, რომ არასოდეს გვიცხოვრიაო“.

როდესაც შეიცვლება ერის მდგომარეობა, შეიცვლება საზოგადოება, ახალგაზლობაშიაც გამრავლდება მომქმედი ელემენტი, გაუმჯობესდება მისი ზნეობაცა და საერთო განვითარებაც. დღევანდელი ახალგაზლობა ღირსეული მემკვიდრეა ძველის თაობისა შეგნებულთა მცირე ნაწილი კი—იკარია, რომელიც მზისაკენ მიილტვის, მაგრამ იძულებულია ფრთებ—დამსხვრეული ისევ ბნელეთს დაუბრუნდეს, ტანჯვა და ბოლმა გულშივე დაიტრიალოს!

ჟ. რაჭ. შვილი.

მოწოდება

1911 წ. იანვარში შესრულდება **50** წელიწადი ქალების უმაღლესი კურსების დაარსებიდან. ამ ნახევარ საუკუნის განმავლობაში დიდი ცვლილება მოხდა რუსეთის ქალის ცხოვრებაში.

ბევრი დამცირება და ათას გვარი დაბრკოლება გამოიარეს რუსის ქალებმა, მაგრამ ვერაფერმა ვერ შეაჩერა მათი ლტოლვილება უმაღლეს განათლებისაკენ. წყნარად, მშვიდათ, გულმოდგინეთ მუშაობდენ, ითმენდნენ ყველაფერ გაჭირვებას. რათა მიეღწიათ თავის მიზნისთვის.

ბევრი უფლება შეიძინეს. **50** წლის შრომა საზოგადო ასპარეზზე და მათი კეთილი შედეგი თვალშეგენია, მისი რომ მომავალი შრომა მეტი ნაყოფიერი იქნება და შეაგნებინებს ყველას რომ ქალიც იმნაირი ადამიანია როგორც მამაკაცი, და მისთვის თანასწორი უფლება და ადამიანის ღირსების დაცვა არა ნაკლებ საჭიროა.

სატახტო ქალაქებში ყველა ქალების დაწესებულებამ გადასწყვიტეს იუბილესასწაულონ **50** წელი უმაღ. კურ. დაარსება, როგორც ფრიად შესანიშნავი დღე რუსების ქალების ცხოვრებისა და იწვევენ ყველა სხვა ქალაქების ქალების დაწესებულებას, რათა მიიღონ მონაწილეობა.

თბილისის კ. ქ. საზოგადოებამ დიდი სიამოვნებით მიეგება ამ მოწოდებას თავის მხრივ. მოიწვევს ყველა კავკასიის დაბა ქალაქებს ქალების დაწესებულებებს, ან ერთად ან ცალკე, როგორც სურთ იუბილესასწაულონ ეს დღე. აგრეთვე სთხოვს ყველას ვისაც მიუღია უმაღლესი სწავლა, მოაწოდოს ხსენებულ საზოგადოებას მოკლე ცნობა სად მიიღეს უმაღლესი სწავლა, როდის გაათავა ან როგორ მოეწყვენ ცხოვრებაში. ეს ცნობები ძლიერ საჭიროა.

ადრესი. Судебная улица № 4 Об. К. Женщинъ.

რუმაული მედალიონები.

გენერალ მაიორმა ვლადიმერ ათანასეს ძემ მაყაშვილმა საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას ფრიად საინტერესო ნივთი უძღვნა: ხელის ოდენა ბრინჯაოს მედალიონი, რომელზედაც გამოქანდაკებულია ჭაბუკის ბიუსტი, თითქო მერკურისაო, თუ იმის ქუდს დავუჯერეთ. ეს მედალიონი ძველი რომაული ხელოვნებისაა და ზედ აჩნევია წმინდა კლასიკური შვენიერება, თუმცა, საუბედუროდ, ვიღაც ბარბაროსის ხელში ჯალიან დაშავებულა. მედალიონი ნაპოვნია დაღესტანში, ყაითალ-თამბასარანის მაზრის სოფ. იკარიშის კოშკის ნანგრევში, რომელსაც იქაური მცხოვრებნი „რუმ“-ს ეძახიან.

შესანიშნავია, რომ ამისი მსგავსი მედალიონი ნაპოვნია ყვირილის ხეობაშიაც. ესეც ბრინჯაოს ქანდაკია, იმავე ხელოვნებისა და თითქმის იმავე ზომისა როგორც ზემოხსენებული, მხოლოდ წარმოადგენს დიადემიანის ქალის ბიუსტს, ეგების დედა-ღმერთის იუნონისას. ეს მედალიონი უძღვნა საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას ანასტასია მიხეილის ასულმა წერეთლისამ.

ძნელია კაცმა სთქვას, რა დანიშნულობა ჰქონდა თავის დროზე ამ მედალიონებს. მეტად მძიმენი არიან და ამიტომ ძნელი დასაჯერებელია, რომ აბჯრის სამკაულად ყოფილიყვნენ; უფრო საეჭვოელია, რომ სამსხვერპლოზე ან რომელსამე ძეგლზე ყოფილან შეკედლილნი.

რაც უნდა იყოს, ეს მედალიონები, სხვა კლასიკურ სიძველეთა შორის, გვიმტკიცებს, თუ ძველი რომაული კულტურა რამდენად გამჯდარი და გავრცელებული იყო ჩვენში.

ჩვენებური დაუდევრობა

როდესაც სახელმწიფო ბანკმა თბილისში განყოფილება გახსნა, ჩვენს თავად-აზნაურთა სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, რადგანაც მათ სულ ადვილად შეეძლოთ მამულის დაგირავებით იაფად კარგა ბლომა ფული ეშოვათ და ამითი თავისი დღენი უზრუნველ ეყოთ; ვიღას აგონდებოდა რომ ვალს გასტუმრება დასჭირდებოდა, რომ ხაზინა ტყუილა უბრალოდ არაფერს არ იძლევა. და ვინც ვალს თავის დროზე არ გისტუმრებს მამული დაიკარგება. დიდი ხანი არ გასულა, რომ ბანკიდან აღებული ფული სხვა და სხვა უმნიშვნელო საჭიროებისათვის დაიხარჯა, მამულის გაუმჯობესებაზე არავის არ ეფიქრა. საქმე იქნამდის მივიდა, რომ სარგებლის გადახდაც ველარ შეიძლეს, არამც თუ თავნის გასტუმრება. ფულის საშოვნელად სხვა რაიმე საშუალების გამონახვა დასჭირდათ და რადგანაც მამული თუ ეკარეს არა—უკეთეს მდგომარეობაში არ იყო, მისი გაყიდვის მეტს რას მოიფიქრებდენ. რადგანაც მყიდველმა გლეხმა ხშირად არც კი იცოდა, თუ მამული დაგირავებული იყო, და კიდეც რომ სცოდნოდა, მემამულე ადგილის გამყიდველი ყოველის გზით აჯერებდა: ადგილის სყიდვა შინაურულად უფრო ადვილი და იაფიც არისო; მამულიც შინაურულად იყიდებოდა და მემამულე კიდევ შოულობდა საწუწნელს; მაგრამ ეს მყიდველს ძვირად უჯდებოდა, რადგანაც ამნაირად დაგირავებას ან და სყიდვას არავითარი იურიდიული ძალა არა ჰქონდა და გლეხი პირში ჩალა გამოვლებული რჩებოდა, ახალი შეძენილი ადგილის დაკარგვასთან ფული ეკარგებოდა. ეს არის უმთავრესი მიზეზი რომ ბანკში დაგირავებულ ადგილის სყიდვას ბევრი გაურბის, თუმცა მამულის შეძენის დიდი სურვილი აქვთ. რა თქმა უნდა ასეთ შემთხვევაშიაც მყიდველმა მამული კანონიერი გზითაც დაიმტკიცოს, მაგრამ ამას ბევრი წვალება და ხარჯი უნდა, ნამეტურ მაშინ, თუ მყიდველს საქმე სინდისზე ხელ-აღებულ გამყიდველთანა აქვს რაიც ივიათი მოვლენა არაა ჩვენს დროში. ამ ნაირათ: მემამულეს ბანკიდგან აღებული ფული დიდი ხანია გამოელია, ამ ფულით მამული არ გაუუმჯობესებია, პირიქით მამული ეხლა უარეს მდგომარეობაშია, ვიდრე ბანკში დაგირავების დროს იყო, გლეხი, ისეა მისგანვე დაშინებული, რომ ადგილს ვერ ყიდულობს, რის გამო მამულის მდგომარეობა უნუგეშოა. მემამულე ამაზე მაინცა და მაინც თავს როდი იტკივებს და როდი სცდილობს საქმის გამოწყობას. საქმე იქამდის მიდის, რომ მამულს საჯარო ვაჭრობითა ჰყიდის. მემამულე ამ შემთხვევაშიაც თავისებურათ ანგარიშობს: პირველ ვაჭრობის დროს მყიდველი არავინ აღმოუჩნდება, მეორე ვაჭრობამდის კი ფულს საიდგანმე ვიშოვი; თუ მაშინაც ვერ ვიშოვე, ესეც არაფერია, რადგანაც მამული ბანკს დარჩება და მის დაბრუნება ყოველთვის შეეძლებაო. იმას კი არ ანგარიშობს, რომ ამნაირად საქმის წარმოების დროს ხარჯები უზომოთ მატულობს და უფრო ავალიანებს ადგილს. ესეც რომ არ იყოს, ხარჯებს რომ ყურადღება არ მივაქციოთ, მართალია მემამულე, როცა რიხიანათ გაიძახის,—ადგილს მყიდველი არ ადმოუჩნდებაო? ერთხელაც არის ამისთანა ტყვილ უბრალო მოიმედეებს სიზმარიდან მწარე სინამდვილეზე გამოიყვანს, რადგანაც „კოკა ყოველთვის წყალს არ მოიტანს“ და ადგილი ხელიდგან გაუსხლტებათ. და მამულს გამოისყიდის არა მათი მეზობლები, არამედ ვისაც მათი ნაკლები ეშინია და ნაკლები ხათრიც აქვს.

დაბეჯითებით ვურჩევთ ჩვენს თავად-აზნაურობას საქმეს უფრო სერიოზულად შეეხედონ, ნუ იქნებიან ნამეტანი დაუდევრები, რადგანაც ამ სენს ჩვენთვის ბევრს მწარე დღეები მიუყენებია.

თ. ბყონდიდელი.

მოხსენიები ამბები

დიდი ჯიხაიში. ეს სოფელი ბევრად განსხვავდება მეზობელ სოფლებიდან მაგრამ სიგანე **5 6** ვერსზეა გაწმეული და ქუთაისს, ხონის და სამტრედიის შუა მდებარეობს შემკეთებითა ფანახებით, სარწყავ მინდვრებით, ბადებით და სხვა.

აქ ორსებობს **ორ-კლასიანი** ნორმალური სკოლა, სამეურნეო განყოფილებით და სამ **ორ-კლასიანი** სამინისტრო და სამრეკლო სასწავლებელი, სადაც **700** ბავშვი სწავლობს აქვე ორსებობს უფასო სამკითხველოც.

ეხლა მომავალ ვქმს კლასიან სამოქალაქო სასწავლებლისთვის ორ სართულიან შენობას აგებენ, რომელიც სამზოგადოებს ორასი თუმანი უჯდება.

აქვე გვაქვს ფოსტის განყოფილება, რომელიც სამის წლის განმავლობაში სამზოგადოების ხარჯით ორსებობს.

გვაქვს ბაზარი სადაც ყოველ ოთხშაბათობით ბაზრობა იმართება.

გვაქვს აგრედვე ქსენონი და აფთიაქი ეს დაწესებულება შარშან 1909 წელს კეთილნი მის დაარსებაში მონაწილეობდენ როგორც ჯიხაიშის ისე ეწერის სამზოგადოების სოფელ ითონეთის და ჯიქოუნის მცხოვრებნი. ეს ორივე სამზოგადოება უფასო წამლებით სარგებლობდა, ხოლო წლიურად თვალ-აზნაურობა იხდიდა **3** მ. და **50** კ. სასუდიერო წოდებ კი—**4** მ. ექიმი, ფელშადი ბებია ქალი უფასოდ იყო; ხოლო რეცეპტისას იხდიდნენ **10—20** კ. დის.

მაგრამ ზოგიერთ „მოდგაწეთა“ მეცადინეობით და კერძო მეფეთიაქე ბატონობის მოქმედებით საქმე იქამდე მივიდა, რომ ქსენონის გამოუფლელმა კომიტეტმა იზარალა, ქსენონი დაჭკეტა და მისი შენობა კი ბანკს დარჩა.

შემდეგ სამზოგადოების უმრავლესობამ კვლა გადასწყვიტა ქსენონის ადგენა. ამისათვის ზობაძისაგან შეასყიდეს აფთიაქი და გახსნეს ქსენონიც და საკუთარი აფთიაქიც.

ეხლა ექიმის წასვლა დირს **1** მანეთამდეები კი **30** ბრილანტს დაკლებით ეძლევათ, ადგილობრივ აგადმყოფების განსინჯვა—**40** კაპ. დირს, გარეშე პირებს წამლებზე მანეთზე ორ შაურს უკლებენ.

ამ შესავლიდან ისტუმრებენ ფერშლისა და ფარმაცევტის ჯამაგირს. საჭიროა ეს ადგილი არავინ შეუშალოს ხელი ამ საჭირო და სასარგებლო დაწესებულებას.

გამვლელი.

თეატრი და ხელოვნება

ქართული თეატრი. კვირას, **26** დეკემბერს, ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქმნა ლილით „ნიშანი ყოფა-ქცევაში“, საღამოთი—„ახალი მოძღვრება“. „ნიშანი ყოფა-ქცევაში“ მწყობრად ჩაატარეს, კარგები იყვნენ ბ.ნნი არადელი და ნ. გვარაძე. საღამოთი მსახიობებს დაღლილობა ეტყობოდათ. არც გასაკვირველია, რადგანაც დღეში ორი წარმოდგენის გამართვა, როდესაც ორივეში თითქმის ყველა ერთი და იგივე მსახიობნი იღებენ მონაწილეობას, ძალიან ძნელია. მსაიური სცენები ვერ იყო მოწყობილი კარგად, ეს კი ძალიან აფუჭებდა შთაბეჭდილებას. კერძო ამსრულებელთაგან კარგები იყვნენ ბ-ნი მესხიშვილი (მარკი), გ. გელენავი (გლაბრიონი), ქ-ნი ნ. დავითაშვილი (მერცოა) და ქ-ნი ა. კარგარეთელი კურონიკას როლში **№ 65.**

—

ახალი ახალი. 26 დეკემბერს, ახალოხ ახალში წარმოადგინეს ირეთელის **4** მოქმედებიანი დრამა „ქრისტინე“. ეს პიესა რამდენჯერმე დაუდგამთ ახალოხ ახალში და ყოველთვის ხალხი ბლომად ესწრება. ამ საღამოსაც დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი, ისე რომ ბილეთების შოვნაც არ იყო. არ ვიცი რას მივაწერო კი ის რომ ხალხი წარმოდგენის დროს ყაყანებს, იცინის, უშტვენს სწორედ იმ დროს, როდესაც სცენაზე სატირელი სურათია.

რაც შეეხება მოთამაშეებს, მთელი ყურადღება მიიქცია ქ. ჩირგაძემ (ქრისტინე) მან ნათლად დაგვიხატა მიამიტი ქრისტინე. ქ. ციმაკურიძე (ნატალია) კარგი იყო. ტანისამოსიც ხელს უწყობდა, აღარც ეცინებოდა როგორც წინედ, რასაც ხიამოვნებით აღვნიშნავთ.

სხვა ამსრულებელთაგან მეტი ყურადღება მიიქციეს ქრისტინეს უკანონო შვილმა—გოგიამ (მ. ჭიაურელი), მაია (მ. გოგოლაშვილი), მარინე (კავთელი), მოქვიფე თავადი (ხახანაშვილი) და მიტუშამ (ა. მეტრეველი). დანარჩენს როლის უცოდინარობა ეტყობოდათ.

თეატრის ადმინისტრაციის ყურადღებას მივაქცევთ იმ გარემოებას, რომ სარედაქციოდ აღნიშნულ ბილეთების გასყიდვა ყოველად უხერხულ მდგომარეობაში აყენებს რედაქციის წარმომადგენლებს. იმედი გვაქვს ეს უხერხულობა აღარ განმეორდება. **მ. ნ.**

ღია წერილი.

(ნიკო ჯაფარიძეს)

თქვენს გამოწვევაზე თანახმა გახლავართ. დაე, სამედიატორო სასამართლომ გადაჭრიოს საქმე. ჩემის მხრივ მედიატორებად ვასახელებ სერგო ქავთარაძეს და ლევან ნათიძეს. **მსახიობი თამარაშვილი.**

განცხადებანი

ДИАСА-ХЛИСТ

ძვირფასი და სასარგებლო **საჩუქარი** მხოლოდ **1** მ. **30** კ. ხელის მანქანა სარეკლამოთვის. მანქანა **„პადულია“** ადვილად და სუფთადა ჭრეცხავს ყოველგვარ თეორეულს, არ აფუჭებს და არა ჭვლეჯავს. მისი ხმარება იმათაც კი შეუძლიანთ, ვინც **ხრულებით არ იცის რეცხვა ხელებს თავის დღეში არ აფუჭებს,** ამასთანავე მეტად ნაკლებ დროს ითხოვს.

„პადულიას“ მანქანის დამზადება მთელს დედა-მიწის ზურგზე სხვას ყველას ეკრძალება. **მის მოხმარების ახსნას** ყოველ მანქანასთან ვაყოლებთ. მანქანის ფასი მხოლოდ **1** მ. **30** კ. გადასაგზავნის—**55** კ. ციმბირში—**90** კ. მსურველთ დაუყოვნებლივ ვგზავნებათ ფას-დადებით და უბეოდ. ადრესი:

Эксп. Дому Т-ва „Двигатель“, „Варшава, Граничная, № 5, Отд. 59. (Метцл. и К-о.) (1—316—1)

ДОКТ. ნავასარდიანისა

ყოველ დღე, კვირეებს გარდა
დაარსებულია **1880** წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ДИЛЛИТ:

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.
უ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანახოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. ბ. ბვეტიხიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
ა. მ. პუგინოვი. 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
ა. პ. კარაპეტიანცი: 1—1½ ს. შინაგან. და საბავშვო.
ბ. გ. აგახაროვი: 1½—2 ს. შინაგდა ბავშვთა ავად.

საღამოთი:

ქალ. ექ. პ. ს. ფილბერშაცი: 6—6 ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.
ო. ვ. ბეევსკაია-ენგელი: 6—6½ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ი. ფ. მარციშევსკი: 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ფერმაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი მედიც. დოტკორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

ᲛᲝᲘᲗᲮᲝᲕᲔᲗ

სწორე და მკვიდრი საათები

ნუ გამოეკიდებით იაფ ფასიან საათებს. კარგ საათებს ყოველთვის თავისი ფასი აქვს. პარიზის ახალი რამ.

ორას მანეთიან ოქროს საათების მაგივრ გირჩევთ მეიძინოთ კაცის ეზმა საათები ხამი სახურავით «ხ ე ც ს ი ა», რომლებიც სილამაზით და სიმკვიდრით ოქროს საათებს არ ჩამოუვარდებინ, რადგანაც 14% ოქრო აქვს შემოკრული. ამ საათების მექანიზმი ნამდვილი შვეიცარიელია, მუშაობს 15 ქვაზე და მეტად კარგი ხმა აქვს, დაკოქვა 40 საათში ერთხელ. უგანადგეზდ. საათები ნამდვილი ანალი ოქროსია და თავის კარგ თვისებათა გამო დაჯილდოებულია ოქროს მედალით და სიგარგის ნიშნით“. ფასი 5 მ 25 კ. 2 ც. 10 მ. 4 ც. 19 მ. 50 კ. ვინც გახინჯავს ამ საათებს დარწმუნდება, რომ ის 250 მან. ღირს. საათები იგზავნება წუთით წუთამდე გასწორებული 10 წლის ჰასუხის მგებლ ვბით, ფას-დადებით და უბეოდ. გაგზავნა გადასახადით 40 კ. (ციმბირში 75 კ.).

ПАРИЖЪ 7 PARIS — **S. Strumfeld Rue Mirbel 2 bis.**

უფასოთ გგზავნით ანალი ოქროს მშვენიერ ძეწკვს ბრილიანტით და ზამბიდეედით. მიმართვა შეიძლება რუსულ ენაზე. დაბურულ წერილზე უნდა დაკრთ 10 კ. მარკა, ხოლო დია წერ. 4 კ. ადრესი გთხოვთ ამოსჭრათ და მაგრად დაკრთ ეიტვერტზე ან ლია ბარათზე.
(Мецль N 53647). (34—15—18)

მთელს კავკასიაზე უკანასკნელი ახალი მოვლენა!

ᲯᲘᲑᲘᲡ ᲡᲐᲬᲔᲠᲐᲕᲘ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲐ „TAURU“

დდეგანდლამდე მსგავსი მოზურზებული რამ არ მოიძებნებოდ, რომ ჯიბით გეტარებინათ საწერი მანქანა, და გეხარგებლნათ, სადაც გნებავდეთ: მატარებელში, ეკიმზე და სხვ. მანქანა ისეთსავე სამსახურს გაგიწევთ, როგორც ეძვირფასები საწერავი მანქანა და მეტსაც. მით უმეტეს, რომ მისი ტარება ჯიბით შეიძლება ყველას და ყოველთვის. კითხვა იბადება:

როგორ უნდა სწერო ამ მანქანაზე?

ამის პასუხად უნდა მოგანსხენოთ, რომ ტყნიკის განვითარების წყალობით, მოსახერხებელი გახდა საწერავ ჯიბის მანქანის ეხრეთ გაუმჯობესება ‘ უბის საათზე ციტა მოზრდილია, რომ მისს გარშემო დაბეჭდულია 100 არმინი ქაღალდი, სადაც ამ მანქანაზე ბმარეულ ქაღალდის ხეკანე. მის ბმარებისათვის განსაკუთრებული ციდნა არაა საჭირო; ყოველი ანბანის მცოდნე მიერ ველადვე მოხმარებს მისით წერას, მხოლოდ მეხაფერ ასოს დასაწერად ეჭვა. ფერ ეფდს დაეწვმა თითით;

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ ᲛᲘᲙᲐᲤᲘᲝᲓ ᲓᲐ ᲪᲮᲐᲚᲐᲓ ᲣᲤᲔᲪᲔᲡᲘᲐᲗᲘᲡ ᲘᲤᲔᲠᲔᲑᲐ.

დაგარწმუნებ ყველას, ვინც კი მიიღებს მანქანას „TAURU“-ს, სამუდამოდ მადლიერი დარჩება. კითხვთ, მანქანა სერიოზულ რამე ד მიიჩნიეთ, ნამდვილად სასარგებლო და გამოსადეგ ნივთად და არა—ხაბავმე სათამაშოდ თუ მანქანა არ მოგეწონებათ, ფულს უკანვე დაგიბრუნებთ. მაგრამ დარწმუნებული ვარ, ხელმეორედაც გამოიწერთ და ფულის დაბრუნებას კი არ მოითხოვთ. კითხვთ დაკვეთის დროს აღნიშნეთ, რომელს ენაზე გინდათ სწერეთ, რადგანაც ყველა ენეებისათვისაა დამზადებული ფასი 7 მ. 50 კ., გაგზავნა და ბაჟი—60 კ. (ციმბირში—90 კაპ.) გზავნით ფას-დადებით და უბეოდ. ადრესი:

Парижъ PARIS № 7. Mr. Srumfeld. S. Ruc Mirbel 2 bis.

დაკვეთა ყველა ენაზე შეიძლება. დაბურულ წერილზე 10 კ მარკა საჭირო, ღია წერილზე—4 კ.

Метцль, 93477. (3—293—3)

ერთად-ერთი თევზეულობის საწყობი ფითოევის მრეწველობის

სალიანის თევზთ მრეწველ და მოვაჭრეთ ძმ. კეგველოვების

ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲡ

პუშკინის ქ., სახლი № 9, ტელეფონი № 712,

ყოველ დღე განუწყვეტლივ მოდის

ᲐᲮᲐᲚ-ᲐᲮᲐᲚᲘ

ᲝᲡᲔᲢᲠᲘᲜᲐ (ზუთხი) **ᲓᲐ ᲡᲔᲕᲠᲘᲣᲒᲐ** (ტარანდა).

ᲮᲘᲖᲘᲚᲐᲚᲐ

ახალი (Зернистая).

პარკისა და კოლოფებით

საუკეთესო დოშები და ზურგიელები

ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲓᲕᲘᲜᲘᲡ ᲝᲠᲐᲒᲣᲚᲘ (სიოდგა)

მივიღეთ საუკეთესო პაისუნი ხიზილალა გირვანქა 1 მან და წითელი ხიზილალა (Кетовая). 50 კ. 60 კ. ზირ

აგრეთვე მივიღეთ დიდი პარტია ყოველნაირი კონსერვები.

(წ—128—66)

ბუკეთესო ზოგელა (Кетовая) ხიზილალა — ბუკეთესო ზოგელა (Кетовая) ხიზილალა

ერთად-ერთი საწყობი ფითოევის მრეწველობისა.

ᲛᲝᲘᲗᲮᲝᲕᲔᲗ ᲑᲣᲜᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲙᲐᲮᲣᲠᲘ ᲦᲕᲘᲜᲝᲛᲔᲑᲘ ᲤᲘᲠᲛᲘᲡᲐ

ᲒᲠᲐᲜᲓ-ᲙᲐᲮᲔᲗᲘᲐ

ᲛᲣᲨᲐ ᲑᲐᲖᲐᲠᲘ, ᲡᲐᲮᲚᲘ 13.

ფასები: **ᲫᲕᲚᲘ 20—50 კ.**, ვედრობით **2 მან. 40 კ.-დან 6 მ.-ᲛᲓ ᲛᲘᲢᲐᲜᲘᲗ**

ღვინის საწყობთან არსებობს საუცხოვო სამხარეულო ევროპიული და კავკასიური საჭმელებისა.

(20—240—14) პატივისცემით **ნ. გ. ჩაგუნავა** და **ს. სამადაშვილი**

„ᲡᲝᲠᲐᲞᲜᲘᲡ“ ᲐᲛᲮ. ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐ

გამოვიდა გასასყიდად

I

1911 ᲬᲚᲘᲡ ᲙᲔᲓᲚᲘᲡ ᲙᲐᲚᲔᲜᲓᲐᲠᲘ

ქართველთათვის, კათოლიკეთათვის, სომეხთათვის, მაჰმადიანთათვის და ებრაელებისათვის. კალენდარის უკანა გვერდზედ მოთავსებულია მრავალი სურათები ჩვენი სახოგადო მოღვაწეებისა. ფასი კალენდრისა 40 კ.

II

სახალხო კალენდარი 1911 წ.

შედგენილი **ᲗᲐᲜᲘᲔᲚᲘᲡ** მიერ.

კალენდარში ჩართულია მრავალი ხ-რათები და ქარტა საქართველოსი. ფასი 20 კ. კალენდრები იყიდება საქართველოს ყველა წიგნის მაღაზიებში და გაგზავნის რკინის გზის შეკეთებში.

ვინც ერთ ერთ ეგზემპლარს გასასყიდად გამოიწერს, მან უნდა მიმართოს შემდეგის ადრესით:

Тифлисъ Т-ва „Сорапанъ“. (18—244—12)

საოჯახო ნომრები ᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ

ქალაქის შუა ადგილი, ელისაბედის ქუჩა, ვორონცოვის ძეგლის მახლობლად, სახლი **ᲫᲛ ᲛᲘᲚᲝᲕᲔᲑᲘᲡᲐ № 1.** ოთახები ნათელი და მშრალი, თბილი კარიდორებით. მოსამსახურეო ქალები და კაცები; განათებულ ელექტრონით. ნომრები ორ ორი ოთახებიანიც არის.

ᲤᲐᲡᲘ: 60 ᲙᲐᲞᲔᲘᲙᲘᲓᲐᲜ 2 ᲛᲐᲜᲔᲗᲐᲛᲓᲔ: ᲗᲕᲔᲣᲠᲘᲗ ᲓᲐᲔᲗᲛᲝᲑᲐᲗ.

30—181—27) პატრონი ნომრებისა **ს. ᲛᲝᲛᲪᲔᲚᲘᲫᲔ**

სტამბა „ᲪᲘᲜᲐᲗᲚᲔ“ რუსის ქუჩა № 3.

რედაქტორ-გამომცემელი **ᲘᲠᲝᲓᲘᲝᲜ ᲡᲝᲜᲚᲔᲣᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ.**